



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N 2**

ქ. ლანჩხუთი

24. 11. 2017 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ელისო ჭიჭინაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარე, **ბესიკ ტაბიძე** მიესალმა საკრებულოს წევრებს და აღნიშნა, რომ მათ ხალხმა გამოუცხადა უდიდესი ნდობა, რომელსაც გამართლება უნდა. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეული დეპუტატის მოვალეობაა იზრუნოს ხალხზე და მოსახლეობის გვერდით იყოს.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ა. მახათაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ა. მახათაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გ. გვარჯალაძე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გ. გვარჯალაძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ჩახვაძე/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გ. ჩახვაძე/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ე. ჭიჭინაძე/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ე. ჭიჭინაძე/

11. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

12. სხვადასხვა.

საკრებულოს წევრმა, **ამირან გიგინეიშვილმა** უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ საკრებულოს სხდომის თარიღის შესახებ მხოლოდ ორი დღით ადრე შეატყობინეს, მაშინ როცა ამის შესახებ დეკრეტატებს ერთი კვირით ადრე უნდა ეცნობოს. საკრებულოს წევრებისთვის ასევე წინასწარ უნდა იყოს ცნობილი სხდომაზე განსაზღვრული საკითხები, მაგრამ მისთვის არ მიუწოდებიათ სხდომის დღის წესრიგის

პროექტი. ამასთან, მუნიციპალიტეტის მოსახლეობა არ არის ინფორმირებული საკრებულოს სხდომის ჩატარების თარიღის შესახებ. დეპუტატის განცხადებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად ბიუჯეტის პროექტს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს საკრებულოს წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერი. იმავე კოდექსის მიხედვით იმ საკითხებზე დელეგირება არ შეიძლება, რომლებიც კოლეგიალურმა ორგანომ უნდა გადაწყვიტოს დადგენილებით ან განკარგულებით.

საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა, (აპარატის უფროსი) **ნინო ძიმიჯურმა**, საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მიცემული ნებართვის შემდეგ განმარტა, რომ საკრებულოს ბიუროს სხდომა გაიმართა 22 ნოემბერს, ხოლო 23 ნოემბერი გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით გამოცხადებული იყო უქმე დღედ. ბიუროს სხდომის დასრულებისთანავე საკრებულოს აპარატის მიერ ყველა დეპუტატს მიეწოდა ინფორმაცია საკრებულოს სხდომის ჩატარების თარიღის შესახებ. ამასთან, დღის წესრიგის პროექტი გამოიკრა შესაბამის თვალსაჩინო ადგილზე და გამოქვეყნდა ელექტრონულად მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომი იყო როგორც საკრებულოს წევრების, ასევე მოსახლეობისთვის დაინტერესების შემთხვევაში.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი 1 დეპუტატი (ამირან გიგინეიშვილი).

საკრებულოს წევრმა, **ამირან გიგინეიშვილმა** აღნიშნა, რომ არალეგიტიმურია მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსის, როლანდ ლაშხიას მიერ წარმოდგენილი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი, რის შემდეგ დეპუტატმა დატოვა საკრებულოს სხდომა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ**. მისი თქმით, აღნიშნულ პროექტში მითითებულია კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი, რაც არ შეესაბამება კანონს, იქედან გამომდინარე, რომ საკრებულოს თავმჯდომარე ავალეებს წევრს კომისიის თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში შეასრულოს მისი მოვალეობა. დეპუტატმა აღნიშნა, რომ ყოველივე ამის გათვალისწინებით, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობა ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

ა) ვერიკო კვიციანია - კომისიის თავმჯდომარე;

- ბ) კახა ბოლქვაძე- კომისიის წევრი;
- გ) გოდერძი ქურიძე- კომისიის წევრი;

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ გაწევრიანება საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობაში.

საკრებულოს წევრ, **კახაბერ ასკურავას** თქმით, სრულიად ეთანხმება დეპუტატ ამირან გიგინეიშვილს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი უნდა წარადგინოს მუნიციპალიტეტის მერმა, რადგან ეს არის მისი პირდაპირი ვალდებულება. რაც შეეხება საკრებულოს კომისიებში გაწევრიანებას, ეს არის ნებაყოფლობითი და საკრებულოს წევრს შეუძლია იყოს არა უმეტეს ორი კომისიის შემადგენლობაში. მან საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიაში გაწევრიანების სურვილი გამოთქვა.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 27 დეპუტატი.

**მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N91 (24.11.2017)**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ.**

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 27 დეპუტატი.

**მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N92 (24.11.2017)**

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომა გააცნო საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ**. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობა ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

- ა) ალექსანდრე მახათაძე - კომისიის თავმჯდომარე;
- ბ) თორნიკე ტიკაძე - კომისიის წევრი;
- გ) გიორგი ჩახვაძე - კომისიის წევრი;
- დ) იოსებ ჩხაიძე - კომისიის წევრი;
- ე) ამირან გიგინეიშვილი - კომისიის წევრი;
- ვ) დავით ჩხარტიშვილი - კომისიის წევრი;

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ სურვილის შემთხვევაში მათ შეუძლიათ გაწევრიანდნენ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში.

საკრებულოს წევრებმა, **აკაკი იმნაიშვილმა, ემზარ თევდორაძემ და ზურაბ კუკულავამ** გამოთქვეს სურვილი გაწევრიანდნენ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა 27 დეპუტატი.
მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N93 (24.11.2017)**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომა გააცნო საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ**.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 27 დეპუტატი.
მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N94 (24.11.2017)

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი გვარჯალაძემ**. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობა ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

- ა) გიორგი გვარჯალაძე - კომისიის თავმჯდომარე;
- ბ) ცისანა ურუშაძე - კომისიის წევრი;
- გ) კახა ბოლქვაძე - კომისიის წევრი;
- დ) ბესიკ კუპრაძე - კომისიის წევრი;
- ე) ოთარ პატიეშვილი - კომისიის წევრი;
- ვ) სპარტაკ კვაჭაძე - კომისიის წევრი;
- ზ) ლელა ჩახვაძე - კომისიის წევრი;
- თ) ზაზა წულაძე - კომისიის წევრი;
- ი) რეზო კვაჭაძე - კომისიის წევრი;
- კ) კახა თედორაძე - კომისიის წევრი;
- ლ) ელისო ჭიჭინაძე - კომისიის წევრი;

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ სურვილის შემთხვევაში მათ შეუძლიათ გაწევრიანდნენ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიაში.

საკრებულოს წევრებმა, **აკაკი იმნაიშვილმა**, **ემზარ თევდორაძემ**, **იოსებ ჩხაიძემ** და **ამირან ქანთარია**მ გამოთქვეს სურვილი გაწევრიანდნენ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობაში. ამასთან, დეპუტატმა, ამირან ქანთარია მ აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრები დასაქმებულები არიან სხვადასხვა ადგილზე. აქედან გამომდინარე, თხოვნით მიმართა საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეებს და მათ შორის, გიორგი გვარჯალაძეს, რომ თუ შესაძლებელია საკრებულოს კომისიის სხდომები დაინიშნოს 15 საათის შემდეგ და არა დილის საათებში, როგორც აქამდე ხდებოდა, რადგან დეპუტატებს მიეცეთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ შესაბამისი კომისიების მუშაობაში.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 27 დეპუტატი.
მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა განკარგულება N95 (24.11.2017)

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი გვარჯალაძემ**.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 27 დეპუტატი.

მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა განკარგულება N96 (24.11.2017)

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვამემ**. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის შემადგენლობა ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

- ა) გიორგი ჩახვამე - კომისიის თავმჯდომარე;
- ბ) ზაზა წულაძე - კომისიის წევრი;
- გ) კარლო კვიციანიშვილი - კომისიის წევრი;
- დ) ალექსანდრე მახათაძე - კომისიის წევრი;
- ე) ზაალ სანაძე - კომისიის წევრი;
- ვ) თორნიკე ტიკაძე - კომისიის წევრი;
- ზ) ოთარ პატიეშვილი - კომისიის წევრი;
- თ) ზურაბ კუკულავა - კომისიის წევრი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ სურვილის შემთხვევაში მათ შეუძლიათ გაწევრიანდნენ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიაში.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 27 დეპუტატი.

მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა განკარგულება N97 (24.11.2017)

დღის წესრიგის მერვე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვამემ**.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 27 დეპუტატი.

მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა განკარგულება N98 (24.11.2017)

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ელისო ჭიჭინაძემ**. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობა ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

- ა) ელისო ჭიჭინაძე - კომისიის თავმჯდომარე;
- ბ) რევაზ კვერენჩხილაძე - კომისიის წევრი;
- გ) კარლო კვიციანიშვილი - კომისიის წევრი;
- დ) ამირან ქანთარია - კომისიის წევრი;
- ე) ბესიკ კუპრაძე - კომისიის წევრი;
- ვ) ზაალ სანაძე - კომისიის წევრი;
- ზ) ამირან გიგინეიშვილი - კომისიის წევრი;

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ სურვილის შემთხვევაში მათ შეუძლიათ გაწევრიანდნენ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში.

საკრებულოს წევრებმა, **გოდერძი ქურიძემ, კახა თედორაძემ, გიორგი გვარჯალაძემ და რეზო კვაჭაძემ** გამოთქვეს სურვილი შევიდნენ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობაში.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 27 დეპუტატი.

მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა განკარგულება N99 (24.11.2017)

დღის წესრიგის მეათე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ელისო ჭიჭინაძემ.**

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 27 დეპუტატი.

მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა განკარგულება N100 (24.11.2017)

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ.** მან პირველ რიგში მიულოცა როგორც საკრებულოს წევრებს, ასევე საკრებულოს თავმჯდომარესა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს მოსახლეობის მიერ უდიდესი ნდობის გამოცხადება და უსურვა შემდგომი წარმატებები. ასევე, მიულოცა ალექსანდრე სარიშვილს მუნიციპალიტეტის მერის თანამდებობაზე არჩევა და უსურვა მოსახლეობისთვის საჭირობოროტო საკითხების მაქსიმალურად მოგვარება შესაძლებლობების ფარგლებში. რის შემდეგაც აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით იწყება ადმინისტრაციული წარმოება, ამიტომ მისთვის გაურკვეველია ის აზრთა სხვადასხვაობა, რაც ბიუჯეტის პროექტის წარდგენასთანაა დაკავშირებული.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა საკრებულოს გააცნო მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის ძირითადი პარამეტრები. გასაგები მიზეზების გამო აღნიშნულ პროექტში ნაკლებადაა ასახული ის ამოცანები და ხედვები, რაც გააჩნიათ ახალ ხელმძღვანელობას, მაგრამ ისინი

აუცილებლად იქნება პროექტის განხილვის პროცესში გათვალისწინებული. მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში რეალურად იქნა გათვლილი საგადასახადო ბაზა, რომელიც განისაზღვრა 2 227 300 ლარით, ხოლო გათანაბრებითი ტრანსფერი განისაზღვრა 6 209 700 ლარით. აქედან გამომდინარე, ბიუჯეტი მთლიანად განისაზღვრა 8 657 000 ლარით, ხარჯვითი ნაწილი 8 657 000 ლარით, მათ შორის ხელფასის ფონდი - 1 349 400 ლარით, შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზრაურება - 503 800 ლარით, ა(ა)იპ ების დაფინანსება (სუბსიდირება) 5 550 400 ლარით. უნდა მოხდეს მუნიციპალური ბიუჯეტის გაუმჯობესება, დახვეწა და რაც შეიძლება მეტი ფინანსების მოზიდვა. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსის თქმით, როცა მტკიცდება სახელმწიფო ბიუჯეტი, მასში რეგიონალური განვითარების ფონდისთვის გათვალისწინებულია გარკვეული თანხა, საიდანაც იანვარ-თებერვლის თვეებში მუნიციპალიტეტს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოეყოფა შესაბამისი ფინანსები, მაგრამ ეს საკითხები ადგილობრივი ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებული არ არის, არამედ იგი გათვლილია იმ აუცილებლობის მიხედვით, რაც საჭიროა როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის, ასევე ა(ა)იპ - ების ფუნქციონირებისთვის. ა(ა)იპ - ების მხრიდან თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით მოთხოვნები გაზრდილია, მაგრამ ფინანსთა სამინისტროს მიერ მუნიციპალიტეტისთვის ხდება ეკონომიკური პარამეტრების განსაზღვრა და ა(ა)იპ - ებისათვის შესაბამისი ნორმატიული მასალების მიწოდება. მუნიციპალიტეტის ყველა ა(ა)იპ-ის დაფინანსება ძირითადად დატოვებულ იქნა 2017 წლის დონეზე. გამონაკლისია მხოლოდ ორი ა(ა)იპ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი საგანმანათლებლო საადმინისტრაციული ცენტრი“ და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ლანჩხუთი - სერვისი“, რადგან მათთან დაკავშირებით აუცილებელ ღონისძიებებს წარმოადგენს ბიუჯეტის გაზრდა. წარმოდგენილი პროექტი საჭიროებს გულდასმით განხილვას და შესაბამის გადამუშავებას, რომლის მიზანია არსებული რესურსის რაც შეიძლება რაციონალური განაწილება, რადგან ყველაზე რთული აღსრულების პროცესია. ყოველივე აქედან გამომდინარე, აუცილებელია ყველამ მიიღოს მის შემუშავებასა და ფორმირებაში მონაწილეობა.

დეპუტატ, **კახაბერ ასკურავას** თქმით, ვერ დაეთანხმება მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსს. მართალია, რომ მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით იწყება ადმინისტრაციული წარმოება, მაგრამ ძირითადი პარამეტრები საკრებულოს უნდა წარუდგინოს მუნიციპალიტეტის მერმა. ეს მისი პირდაპირი ვალდებულებაა, რომელიც განსაზღვრულია კანონის და რეგლამენტის მიხედვით. საკრებულოს წევრი ასევე დაინტერესდა, თუ როგორია დღევანდელი მდგომარეობით მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების პროცენტული მაჩვენებელი წელთან მიმართებაში.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ დღევანდელი მონაცემებით მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი წელთან მიმართებაში შესრულებულია 81 %-ით. მისი თქმით, პრობლემებია არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით და საგადასახადო ბაზაში, როგორც ქონების, ასევე საშემოსავლო კუთხით. არფინანსური აქტივების მობილიზაცია და მასთან დაკავშირებული ოპერაციები ხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ. რაც შეეხება საშემოსავლო, ქონების გადასახადს და ა. შ. - ეს არის ფინანსთა სამინისტროს ქვემ დაქვემდებარებული საშემოსავლო სამსახურის პრეროგატივა.

დეპუტატ, **კახაბერ ასკურავას** აზრით, მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი ვერ შესრულდება, რადგან თავის დროზე არაგონივრულად იყო დაგეგმილი. მან კითხვით

მიმართა მუნიციპალიტეტის მერს - როგორც წინა მოწვევის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე და საკრებულოს ერთ-ერთი აქტიური წევრი, იზიარებს თუ არა პასუხისმგებლობას მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით, რადგან აღებული ვალდებულებები ვერ შესრულდება.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ იმ პირობებთან ერთად, ვინც მხარი დაუჭირა მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცებას, სრულიად იზიარებს პასუხისმგებლობას. მისი თქმით, ყოველდღიურად მუშაობენ, რათა მიმდინარე წლის ბიუჯეტი შესრულდეს და აღებული ვალდებულებები მაქსიმალურად იქნას გასტუმრებული.

საკრებულოს წევრ, **კახაბერ ასკურავას** აზრით, ახალი მოწვევის საკრებულომ უნდა იმსჯელოს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ -ებში მიმდინარე პროცესებსა და არსებული სიტუაციის შესახებ. დეპუტატი დაინტერესდა, თუ როგორია დღევანდელი მონაცემებით მდგომარეობა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ტექ-სერვისი“-სა და ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ლანჩხუთი - სერვისი“-სთან დაკავშირებით. გააჩნიათ თუ არა მათ საკმარისი თანხა, რომ ახალ წელს შეხვდნენ მომზადებულები და შეასრულონ მათზე დაკისრებული კონკრეტული ვალდებულებები.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ტექ-სერვისი“-სთან დაკავშირებით ყველა ის ვალდებულება, რაც გააჩნია მუნიციპალიტეტს, იქნება გასტუმრებული. რაც შეეხება, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ლანჩხუთი - სერვისი“-ს, მას დამატებით გადაეცა ორი ნაგავმზიდი მანქანა და ასი ცალი ურნა. შესაბამისად, გაიზარდა ხარჯები. აქედან გამომდინარე, ის თანხა, რაც ა(ა)იპ -ის ესაჭიროება წლის ბოლომდე, იქნება ანაზღაურებული და შესაბამისად, დამატებით გამოეყოფა ფინანსები.

საკრებულოს წევრი, **კახაბერ ასკურავა** დაინტერესდა, თუ რომელი რეზერვიდან მოხდება ა(ა)იპ-ებისთვის დამატებით თანხის გამოყოფა. მან ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის სოფლების 70 % ჩაბნელებულია, რადგან არც ერთი გარე განათების ნათურა არ მუშაობს, მაგრამ მუნიციპალიტეტის ხელისუფლებას არ ეცალა მსგავსი პრობლემების მოსაგვარებლად, რადგან სამი თვის განმავლობაში ჩართულები იყვნენ საარჩევნო პროცესებში.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** საკრებულოს წევრს, კახაბერ ასკურავას მოუწოდა რეგლამენტის დაცვისა და კოლეგების ურთიერთპატივისცემისკენ.

მუნიციპალიტეტის მერმა საკრებულოს წევრს ასევე მოუწოდა თავი შეეკავებინა არაკორექტული გამოსვლებისგან, რის შემდეგ განმარტა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ლანჩხუთი - სერვისი“-ს ზაფხულიდან გაეზარდა ვალდებულებები, ამიტომ ესაჭიროება დამატებითი ფინანსები. ამასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ აპრილის თვეში მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსის მიერ საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილ იქნა შესაბამისი წერილი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის, **გიორგი ჩახვაძის** თქმით, ვერ დაეთანხმება საკრებულოს წევრების ამირან გიგინეიშვილის და კახაბერ ასკურავას მიერ მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით გამოთქმულ შენიშვნებს, რადგან იწყება

ადმინისტრაციული წარმოება და საკითხით აპელირება ნამდვილად მიუღებელია. როგორც ცნობილია, პროექტთან დაკავშირებით მუშაობა გაწია საკრებულოს ძველმა შემადგენლობამ. აქედან გამომდინარე, წარმოების პროცესში აუცილებლად იქნება გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის მერისა და ნებისმიერი საკრებულოს წევრის მიერ გამოთქმული მიზანმიმართული შენიშვნა თუ წინადადება.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ელისო ჭიჭინაძემ** ასევე უკმაყოფილება გამოთქვა საკრებულოს წევრის, კახაბერ ასკურავას არაკორექტული გამოსვლის გამო. მან აღნიშნა, რომ თავის დროზე დამსახურებულად გამოთქვა საყვედური გარე განათებასთან დაკავშირებით, რაც ოპოზიციის მხრიდან ქილიკის საგანი გახდა. ის არასდროს არ მიიღებს კოლეგებისგან ასეთ საქციელს მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა, რადგან დაცული უნდა იქნას კოლეგიალურობის და ურთიერთპატივისცემის პრინციპი.

საკრებულოს წევრის, **აკაკი იმნაიშვილის** თქმით, მოსახლეობის ნაწილს ჯერ კიდევ არ აქვს საგადასახადო დავალიანება დაფარული. პირადად მას არ გადაუხდია მიწის გადასახადი და ელოდება წლის ბოლოს, რადგან თანხას იყენებს სხვა მიზნებისთვის. აქედან გამომდინარე, როცა მოსახლეობის მიერ სრულად მოხდება საგადასახადო დავალიანების დაფარვა, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულებას პრობლემა ნამდვილად არ შეექმნება. მან ასევე აღნიშნა, რომ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი საკრებულოს წევრის, კახაბერ ასკურავას გამონათქვამის გამო, რადგან პირადად ის არავის ოჯახში არ მისულა და არჩევნებზე მხარდაჭერა არ უთხოვია. საკრებულოს წევრის თქმით, მოსახლეობამ საკუთარი აზრი დააფიქსირა არჩევნებზე და ხალხს აზრს ვერავინ შეაცვლევინებს.

საკრებულოს წევრის, **ციცინო ჩხაიძის** თქმით, ისინი პირველ რიგში არიან ადამიანები, ლანჩხუთელები და მხოლოდ ამის შემდეგ - ამა თუ იმ პარტიის წარმომადგენლები. მან თხოვნით მიმართა კოლეგებს, რომ ერთანეთის მიმართ იყვნენ კორექტულები. მისი პირადი დამოკიდებულება სამართლიანობის მიმართ ყველასთვის ცნობილია, აქედან გამომდინარე, მისი პარტიის წარმომადგენელი იქნება ეს თუ სხვა პარტიისა, არავის არ აპატიებს მსგავს გამონათქვამებს. საკრებულოს წევრებს შორის ურთიერთობა აგებული უნდა იყოს კორექტულობის და ურთიერთპატივისცემის პრინციპზე, რადგან ისინი საკრებულოში არიან ხალხის მიერ არჩეულები და მათი საქმიანობა უნდა ემსახუროდეს მუნიციპალიტეტის კეთლდღეობას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა 27 დეპუტატი.
მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N101 (24.11.2017)**

სხვადასხვა:

საკრებულოს წევრმა, **აკაკი იმნაიშვილმა** აღნიშნა, რომ ძალიან ავარიულ მდგომარეობაშია სოფელ შუხუთის ცენტრში მდებარე კულტურის სახლის შენობა. მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ იქნებ გამოინახოს გარკვეული თანხა და აღნიშნული შენობა შემოიღობოს, რადგან მისი კედლები ნელ-ნელა ინგრევა და ცვივა. ყოველივე ამას შეიძლება მოყვეს გამოუსწორებელი შედეგი, რადგან ბავშვები დარბიან და თამაშობენ ავარიულ შენობის მიმდებარედ, მით უმეტეს, რომ იქვე მდებარეობს სკოლის შენობა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ გამოუვალი სიტუაციაა სოფელ ჩიბათის საბავშვო ბაღთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, მთავრობაში ამ შენობის შესახებ გაგზავნილია შესაბამისი წერილი, მაგრამ სანამ მათი მხრიდან სათანადო რეაგირება იქნება, აუცილებელია რაღაც ზომების მიღება, რადგან შენობას სახურავი საერთოდ არ აქვს, რის შედეგადაც ფუჭდება ყველაფერი, ინვენტარი იქნება ეს თუ სხვა რამ. მან ასევე აღნიშნა, რომ ერთი ოჯახი დარჩენილია ღია ცის ქვეშ. ეს საკითხი თავის დროზე განხილულ იქნა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე. განხორციელდა თანხის გადანაცვლება მუხლიდან მუხლში. მისი თხოვნაა, რომ ეს საკითხი მიყვანილ იქნას ბოლომდე.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებთან დაკავშირებით, რამდენიმე პროექტი, მათ შორის ჯიხეთის სამონასტრო კომპლექსთან მისასვლელი გზისა და ჩიბათის საბავშვო ბაღის პროექტები მზადაა და გადაიგზავნება უმოკლეს ვადაში, რათა სასწრაფო რეჟიმში მოხდეს მათი განხორციელება.

საკრებულოს წევრმა, **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ ასევე გამოუვალი მდგომარეობაა აცანის საბავშვო ბაღთან დაკავშირებით. შენობა ფაქტიურად ინგრევა, რადგან მდებარეობს მეწყერსაშიშ ზონაში. აუცილებელია ამ საკითხთან მიმართებაში სასწრაფო ჩართულობა. საბავშვო ბაღი საერთოდ გამოსაყვანია აღნიშნული შენობიდან.

საკრებულოს წევრის, **კარლო კვიციანიშვილის** თქმით, ძალიან ცუდი სიტუაციაა ლაშისღელის სასაფლაოსთან მისასვლელ გზაზე, რადგან ფეხით მოსიარულეთათვის ფაქტიურად შეუძლებელია გადაადგილება. სოფლის მოსახლეობის თხოვნაა აღნიშნული პრობლემის დროული მოგვარება.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ ლესის საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ძალიან მომრავლდა მაწანწალა ძაღლები. დეპუტატმა პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს.

საკრებულოს წევრმა, **კახა ბოლქვაძემ** აღნიშნა, რომ ქალაქის ცენტრში, ჟორდანიას ქუჩაზე ტროტუარი იმყოფება საშინელ მდგომარეობაში და არის მოსაწესრიგებელი. მოქალაქეები, სკოლის მოსწავლეები ფაქტიურად საავტომობილო გზაზე გადაადგილდებიან, რასაც შეიძლება სავალალო მდგომარეობა მოყვეს.

საკრებულოს წევრმა, **ციცინო ჩხაიძემ** მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ აუცილებლად მოსაგვარებელია სოფელ ორმეთთან მისასვლელი გზის პრობლემა. ასევე აღნიშნა, რომ ყოფილ ინტერნატის შენობაში იმყოფება საშინელი ავარიული და ანტისანიტარული მდგომარეობა, რაც აგრეთვე ყურადღება მისაქცევია.

საკრებულოს წევრის, **აკაკი იმნაიშვილის** აზრით, შესაძლებელია, რომ დაინიშნოს ტრანსპორტი და აცანელმა ბავშვებმა იარონ შუხუთის საბავშვო ბაღში მანამ, სანამ სოფელ აცანაში ეს პრობლემა არ მოგვარდება.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ამ კუთხით ცუდი მდგომარეობაა ხაჯალიის საბავშვო ბაღშიც, რომელიც განთავსებულია კერძო ორსართულიან სახლში. სოფელ ხაჯალიიდან 15 ბავშვი საკუთარი სატრანსპორტო ხარჯით გადაადგილდება ნიგვზიანის საბავშვო ბაღში, მაგრამ 23 ბავშვი უადგილობის გამო ვერ ახერხებს ხაჯალიის საბავშვო ბაღში სიარულს. წიაღობანის და ჯიხანჯირის ბავშვები საერთოდ ვერ დადის ბაღში, რადგან არ აქვთ ტრანსპორტირების საშუალება. მისი თქმით, ამჟამად მუნიციპალიტეტს არ აქვს შესაძლებლობა, რომ მოაგვაროს მსგავსი პრობლემები, მაგრამ ძალიან კარგი იქნება, თუ სამომავლოდ მოხდება მათი გათვალისწინება. საკრებულოს თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა დეპუტატებს, რომ ადგილზე დაათვალიერონ არსებული სიტუაცია.

საკრებულოს წევრმა, **ცისანა ურუშაძემ** უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში არ ფუნქციონირებს არც სკოლა და არც საბავშვო ბაღი, მით უმეტეს, რომ ეს პრობლემა ეხება 2 სოფელს: გვიმბალაურსა და ჯუნეწერს. სკოლასთან დაკავშირებით ასე თუ ისე მიზეზი გასაგებია, რომ მოხდა არასრული საჯარო სკოლების გაერთიანება, მაგრამ საბავშვო ბაღთან მიმართებაში ეს საკითხი გაუგებარია, მით უმეტეს, რომ არსებობს არაჩვეულებრივი ადმინისტრაციული შენობა, რომელშიც არაფერი არ არის განთავსებული და დღითიდღე ნადგურდება.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ, **ბესიკ კუპრაძემ** აღნიშნა, რომ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალი თავის დროზე აღიწერა და გადაიგზავნა, მაგრამ მოსახლეობა დღემდე ელოდება შესაბამის პასუხს და დახმარებას. ის დაეთანხმა საკრებულოს წევრს, ემზარ თევდორაძეს სოფელ აცანის საბავშვო ბაღთან დკავშირებით და აღნიშნა, რომ ამ კუთხით ასევე ცუდი სიტუაციაა სოფელ სუფსაში, სადაც ფუნქციონირებს ორ ჯგუფიანი საბავშვო ბაღი, რომელშიც გაერთიანებულია 60 ბავშვი და იანვრის თვიდან მოსალოდნელია კონტიგენტის გაზრდა. სუფსის საბავშვო ბაღის შენობა არის ავარიული და დღეს იგი განთავსებულია ნაქირავებ შენობაში. მუნიციპალური განვითარების ფონდის

მიერ იყო დაპირება აღნიშნულ საკითხზე დახმარებასთან დაკავშირებით, მაგრამ დღემდე რეალური შედეგი არ არის.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** თხოვნით მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ მაქსიმალურად და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის განხილვაში. მისი თქმით, უნდა შეიქმნას მუშა ჯგუფი, რომელიც მიზანდასახულად და ინტენსიურად იმუშავებს ამ კუთხით.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

